ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ს

სოფ. ღორჯომი 12 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ ტერიტორიული ორგანო ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი" ს.კ. 248053733), წარმოდგენილი სკოლის დირექტორის რეზო გორგაძეს სახით და მეორეს მხრივ შპს „ამერიტექსი" (შემდგომში „მიმწოდებელი" ს.კ. 204552760 9), წარმომადგენელი პაატა დათიშვილის სახით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე ტელევიზორის LG 42LB652V ერთი ცალის და ტელევიზორის სამაგრი YOMAX 17-70FA 2 ცალის მიწოდება (CPV 32324000 30190000-0

2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. შეთანხმებული საზღაურის გადახდა მოხდება მომსახურების გაწევის შემდგომ.

2.2 ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების სახით.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2002 (ორიათას ორი) ლარი. ტელევიზორი LG 42LB652V ერთი ცალი 1928 ლარი, ტელევიზორის სამაგრი სამაგრი YOMAX 17-70FA 2 ცალი 74 ლარი. ზედნადების ნომერი 0206215873

3. გარანტია

3.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას დამკვეთს მიაწოდოს ხარისხიანი საქონელი.

3.2 დამკვეთი იძლევა გარანტიას მიიღოს და გადაიხადოს საქონლის ღირებულება შესრულებული სამუშაოდან არაუგვიანეს 15 დღისა.

4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

5. დაუძლეველი ძალა

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრიზასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

5.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

5.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

5.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
6.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვაროონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
8.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
8.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
8.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
8.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
8.7. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

9. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის	შპს „ამერიტექსი“
სოფ.ხორჯომის საჯარო სკოლა	ქ.ბათუმი
სად.კოდი 248053733	საიდ კოდი 204527609
სს„ ლიბერთი ბანკი”	სს თიბისი ბანკი
კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი TBCBGE22
GE 90LB0121198207321000	ანგარიშის # GE20TB1199336020100001

რეზო გორგაძე	პაატა დათიშვილი
სკოლის დირექტორი	
_____	_____